



ბრძანება N 210

„09“ 09 2016 წელი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 63-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის საფუძველზე და ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2016 წლის 08 სექტემბრის N1042532 და 2016 წლის 09 სექტემბრის N1044089 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N135 ბრძანების პირველ პუნქტში და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:


„1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსება 2016 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით.“
- დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.

3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეადგენს ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N135 ბრძანების ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131).


გიორგი მაჩაბელი

დირექტორი



პაპუნა მაჩაიძე 

ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ეკა შარაშენიძე 

უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი

თეონა კაპანაძე

იურისტი 